ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიების გაერთიანებული სხდომის

ოქმი N 07

დ. ლენტეხი 13.03.2026 წ.

მ/წ 13.03-ში დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: სოციალური კომისიის თავმჯდომარე ცირა ლიპარტელიანი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ელდარ ლიპარტელიანი, კომისიის წევრები: ხუტა მუკბანიანი, მალხაზ ბენდელიანი, მოწვეული სტუმრები საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ქურასბედიანი, მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი, სხდომის მდივანი ესმა მუკბანიანი, ნანი ბენდელიანი.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ცირა ლიპარტელიანმა წარმოადგინა დღის წესრიგი შემდეგი საკითხებით:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2025 წლის ანგარიში.
   /მომხ. მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/
2. „ ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელისკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის N-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
   /მომხ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ცირა ლიპარტელიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შნიშვნა არ გამოთქმულა.

მოისმინეს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ხათუნა ლიპარტელიანის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2025 წლის ანგარიში“. (დანართი 5 ფურცლად თან ერთვის)

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებზე 2025 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გათვალისწინებული იყო - 261 000 (ორას სამოცდა ერთი ლარი) ლარი, რაც გასულ წელთან შედარებით 40 000 (ორმოცი ათასი) ლარით მეტია.

სოციალური სამსახურმა საერთაშორისო ორგანიზაცია „წითელ ჯვართან " ერთად რამდენიმე პროექტი განახორციელა , მათ შორის აგვისტოში ყველა თემში, თემის რწმუნებულების დახმარებით , სხვადსხვა კატეგორიაზე დარიგდა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. სააღდგომოდ 300 ბავშვზე გაიცა სასაჩუქრე პაკეტები.

სოც. სამსახური მუდმივად მუშაობს სხვადასხვა ბაზების შექმნასა თუ ცვლილებების შეტანაზე, კერძოდ შექმნილია:

1. შეჭირვებული ოჯახების ბაზა -36 ოჯახი;
2. 80 წელს გადაცილებული, მარტოხელა, სოციალურად დაუცველი - 47 ბენეფიციარი;
3. 70 წელს გადაცილებული, მარტოხელა, სოციალურად დაუცველი -74 ბენეფიციარი;
4. ონკოლოგიური პაციენტები - 32 ;
5. ეტლით უზრუნველყოფა - 4 ბენეფიციარი;

„წითელმა ჯვარმა" საშობაო საჩუქრები (ტკბილეული) გადასცა 33 (დაბადებიდან ინვალიდი) ბენეფიციარს.

სოც. სამსახური უზრუნველყოფს დახმარების მიმღებ ოჯახებში მომხდარი ცვლილებების (ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება-კლება, სრულწლოვანების დადგენა..) შემოწმებას, რის საფუძველზეც ხდება შესაბამისი შესწორებები: დახმარების დანიშვნა, გაუქმება, შეწყვეტა , აღდგენა.

იმსჯელეს: სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა ცირა ლიპარეტელიანმა კითხვით მიმართა ხათუნა ლიპარტელიანს, რომ დამატებითი თანხებით, რომელი კატეგორიის ბენეფიციარებმა ისარგებლეს, რაცეც ხათუნა ლიპარტელიანმა უპასუხა, რომ ეს თანხა, 22095 (ოცდაორიათას ოთხმოცდათხუთმეტი) ათასი ლარი გაცემული იქნა სარეზერვო ფონდიდან 25 ონკოლოგიურ ბენეფიციარზე, რომელთა საოპერაციო თანხა აღემატებოდა 8000-10000 ლარს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრმა ხუტა მუკბანიანმა კითხვა დაუსვა მომხსენებელს ხ. ლიპარტელიანს, რომ რაიონში თუ არსებობს ვეტერანთა ორგანიზაცია, რაზედაც ქალბატომა ხათუნამ უპასუხა, რომ მსაგვსი ორგანიზაცია ჩვენს მუნიციპალიტეტში არ არსებობს, ჩვენ ვთანამშრომლობთ გუბერნიასთან, ხოლო ვეტერანთა საქმეებს, ვეტერანთა დოკუმენტაციის სრულყოფასა და აღრიცხვას კატეგორიების მიხედვით, მუნიციპალიტეტის სამსახური აწარმოებს რაჭა- ლეჩხუმ და ქვემო სვანეთის სამხარეო სამმართველოსთან ორივე ერთად, საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტში წარსადგენად.

მოისმინეს: ინფორმაცია, რომელიაც წარმოადგინა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ცირა ლიპარტელიანმა: „ ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების

2025 წლის წლის 23 იანვრის N 02 დადგენილების საფუძველზე, როგორც ერთჯერადი, ასევე ყოველთვიური ფინანსური დახმარებით ისარგებლა -724 ბენეფიციარმა.

2022 წლის 1 მარტიდან, პრემიერის ინიციატივით, დაიწყო სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი მოქალაქეების დასაქმების მასშტაბური პროგრამა. საზოგადოებრივი სამუშაოები სპეციალურად სამიზნე ჯგუფებისთვის შეიქმნა და ისეთ სამუშაოს გულისხმობს, რომლის შესრულებაც ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. დასაქმების პროგრამით სარგებლობს 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირები, რომელთაც არა აქვთ მინიჭებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსი და არა აქვთ ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები.

პროგრამაში ჩართული თითოეული მოქალაქის შრომითი ანაზღაურება შეადგენს 300 (სამას) ლარს. ამავე დროს დასაქმებულს უნარჩუნდება სოციალური დახმარება.
საზოგადოებრივი სამუშაო არ განაპირობებს სოციალური დახმარების შეწყვეტას, მოსარგებლის ოჯახს უნარჩუნდება საარსებო შემწეობა. ამავე დროს, მოსარგებლეს აქვს უფლება აირჩიოს საზოგადოებრივი სამუშაო , ან შრომის ბაზარზე არსებული უნარ ჩვევების გამოცდილებისა და პროფესიული განვითარების შესაბამისი ვაკანსია. მოსარგებლეს შემწეობა გაუგრძელდება მაშინაც, კი თუ იგი არ დათანხმდა არცერთ შემოთავაზებას, თუმცა ასეთ შემთხვევაში , 1 წლის შემდეგ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხელახლა გადამოწმდება.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა იმუშავა სოც. სააგენტოსა და თემის რწმუნებულებთან ერთად. შესაბამისად მერიამ გამოაცხადა ვაკანსია და დასაქმდა 480 ბენეფიციარი.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონმა მთელი რიგი ვალდებულებები განსაზღვრა მუნიციპალიტეტის როლისა და ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით, რათა სხვადასხვა მიზნობრივი პროექტებით ხელი შეეწყოს შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და ინკლუზიური გარემოს შექმნას. ამავე კანონითვე განისაზღვრება პერსონალური ასისტენტის სერვისის დელეგირება ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილობრივ თვითმმართველობის უწყებებზე.

მიმდინარე წლის დეკემბერში, აღნიშნულთან დაკავშირებით გაგზავნილი იქნა ინფორმაცია მიზნობრივი ტრანსფერის მოთხოვნის შესახებ, სადაც დეტალურად იყო ჩაშლილი პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფისთვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა : ასისტირების სახეები ბენეფიციართა რაოდენობების მიხედვით და პროცესის ადმინისტრირებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები, მათ შორის ბენეფიციარის მომსახურებაში ჩასართავად საჭირო შეფასების ხარჯები.

ამ ეტაპზე, ვინაიდან ეს არის ვარკვეული პერიოდით საცდელი (საპილოტე) პროეტი, მერიამ ორგანიზაცია „ერთად რეალური ცვილილებებისთვი" გადაამზადა(მათივე მითითების საფუძველზე) სამი ასისტენტი , რომელიც შესაბამის დახმარებას გაუწევს 6 ბენეფიციარს.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის , ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2013 წლის N 763 ბრძანების საფუძველზე ახორციელებს პროგრამებს სტიქიით დაზარალებულ ოჯახებზე , რაც ითვალისწინებს საცხოვრებელი სახლის შეძენას თანადაფინანსებით 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმდინარე წელს შესწავლილი იქნა 26 საცხოვრებელი სახლი, თითოეულ მათგანს მიენიჭა დაზარალების კატეგორია და შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად გადაეგზავნა ჯანდაცვის სამინისტროს , კერძოდ ეკომიგრანტთა დეპარტამენტს შემდგომი რეაგირებისათვის. აღნიშნული პროექტით მიმდინარე წლის განმავლობაში დაფინანსდა 9 ოჯახი.

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს გადაეგზავნა 16 შუამდგომლობა მძიმე კატეგორიის ეკომიგრანტებზე, ასევე ერთ დევნილ ოჯახზე.

ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნიდან გამომდინარე, თვეში ერთხელ , საქართველოს გარემოს ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე , იქმნება ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ ვიზუალური, საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა. მიმდინარე წელს , აღნიშნული მოთხოვნით შემოსულია 115 ინდივიდუალური, გეოლოგიური დასკვნა.

ჯანმრთელობისა და სოც. დაცვის სამსახური ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის, რაჭა- ლეჩხუმ და ქვემო სვანეთის სამხარეო სამმართველოსთან ერთად აწარმოებს ვეტერანთა დოკუმენტაციის სრულყოფასა და აღრიცხვას კატეგორიების მიხედვით.

სამსახურის კომპეტენციაში შემოდის აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახებზე ზრუნვა და შესაძლებლობის ფარგლებში სხვადსხვა სახის დახმარების გაწევა. ამ მიზნით სამსახური თანამშრომლობს როგორც ჯან.დაცვის სამინისტროს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამმართველოსთან , ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის იმერეთის ტერიტორიულ ორგანოსთან.

2016 წლიდან დაიწყო ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭება. მიმდინარე წელს სტატუსი მიენიჭა 98 ბენეფიციარს და შეუწყდა 260 მოქალაქეს. მონიტორინგი ჩატარდა 175 ოჯახზე. სულ სტატუსი მინიჭებული აქვს 3842 მოქალაქეს.

რაც შეეხება დემოგრაფიულ მდგომარეობას. 2025 წლის განმავლობაში დაფიქსირებულია გარდაცვალება და 25 დაბადება.

მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის N-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გადაწყვიტეს: 1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2025 წლის ანგარიში, რომელიც წარმოადგნა სოციალური სამსახურის უფროსმა ხათუნა ლიპარტელიანმა, შეფასდეს დადებითად და მოსმენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

2.სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია - ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის N-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ცნობად იქნას მიღებული და დასამტკიცებლად გატანილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე: /ხათუნა ლიპარტელიანი/